დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 24 08
23/05/2018

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, საქართველოს კანონის ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ'' 29-ე მუხლის მე-3-ე პუნქტისა და საქართველოს კანონის ,,საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ'' 23-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. შეთანხმებული იქნას დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებული, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა, რომელიც აღემატება დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 5 %-ს, ერთი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (რიგით მეშვიდე), სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე